მემკვიდრეობა

ვარლამ ჩერქეზიშვილი მარქსიზმის წინააღმდეგ: კამათი კარლ კაუცკისთან

ცნობილი ქართველი ანარქისტის და საზოგადო მოღვაწის ვარლამ ჩერქეზიშვილის (1846-1925) ნაშრომი ”როგორც იქნა გამოტყდით!” (პასუხი კ. კაუცკის), როგორც სათაურიდან ჩანს, საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის აღიარებული ლიდერის - კარლ კაუცკის საპასუხოდ იყო დაწერილი. ნაშრომი რუსულ ენაზე 1907 წელს გამოვიდა თბილისში. თუმცა, ამ ნაშრომის დაწერის მიზეზებზე თუ ვილაპარაკებთ, მას გაცილებით დიდი ისტორია აქვს და ხანგრძლივი დავის თავისებურ შეჯამებას წარმოადგენს. ვარლამ ჩერქეზიშვილი საერთაშორისო სოციალისტურ მოძრაობაში ცნობილი გახდა სწორედ მარქსიზმის ფუძემდებელთა წინააღმდეგ მიმართული ნაშრომებით.

ვარლამ ჩერქეზიშვილის ნაშრომს ”მარქსიზმის დოქტრინები”, რომელიც პირველად გამოვიდა, დიდი საერთაშორისო რეზონანსი მოჰყვა და მსოფლიოს ხალხთა მრავალ ენაზე ითარგმნა.

ვარლამ ჩერქეზიშვილი ბრალს სდებდა კ. მარქსს და განსაკუთრებით ენგელსს პლაგიატში, რომ ამ მოღვაწეებმა ავტორების მითითების გარეშე მიითვისეს მრავალი მეცნიერული დებულება და დასკვნა. მარქსისა და ენგელსის მიმდევარი სოციალ-დემოკრატებისათვის განსაკუთრებით მტკივნეული იყო მარქსისტთა საპროგრამო დოკუმენტის „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ პლაგიატად გამოცხადება.

ვარლამ ჩერქეზიშვილი ასაბუთებდა, რომ 1847 წელს გამოცემული „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ ტექსტი მნიშვნელოვანწილად მიჰყვებოდა სოციალისტის, შარლ ფურიეს მიმდევრის ვიქტორ კონსიდერანის ნაშრომს.

ვ. ჩერქეზოვი. როგორც იქნა გამოტყდით! (პასუხი კ. კაუცკის)

ტიფლისი, 1907 წ.

კომუნისტური მანიფესტის ძირითადი იდეები არ წარმოადგენენ მარქსისა და ენგელსის ორიგინალურ და დიად აღმოჩენებს, რაშიც დღემდე გვარწმუნებდნენ კაუცკი, ბებელი და სხვები, ისინი 1848 წლამდე ფრანგი სოციალისტების საზოგადოდ ცნობილი შეხედულებები გახლავთ. ეს იდეები ჯერ კიდევ 1843 წელს წარმოდგენილი იყო ცნობილი ფრანგი ფურიერისტის ვიქტორ კონსიდერანის მანიფესტში...

როგორც ცნობილია, სოციალ - დემოკრატიული ლეგენდა მარქსიზმის მეცნიერულ სოციალიზმზე ეფუძნება სოციალური კანონების აღმოჩენის ვითომურობას, რომლებიც 1848 წელს მარქსმა და ენგელსმა თავიანთ მანიფესტში გაასაჯაროეს. ამ აღმოჩენებით სოციალ - დემოკრატია საკუთარ პირველადობას ამტკიცებდა სხვა პარტიებს შორის.

„მეცნიერული“ თუ გერმანული სოციალიზმი გასული საუკუნის პირველ ნახევარში არა მხოლოდ განუდგა სოციალიზმს, არამედ ღია ბრძოლაც კი წამოიწყო მის წინააღმდეგ. 80-იანი წლების გერმანელებმა და მათთან ერთად ჩვენმა მარქსიზმის მიმდევრებმა, საყოველთაო დაცინვის საგნად აქციეს სუენისტები, სენ-სიმონისტები, ფურიერისტები და ჩვენი ხალხოსნობა, რომლის საფუძველშიც ჩერნიშევსკის გავლენით ჩადებული იყო ხსენებული სოციალისტური სკოლების იდეები.

ძირითადი მოთხოვნები, რომლებიც საერთო იყო ყველა „არასამეცნიერო“ სკოლებისთვის, გულისხმობდნენ დაქირავებული შრომის, კაპიტალისტის ან მიწათმფლობელის მიერ ადამიანის ექსპლუატაციის აკრძალვას, საწარმოო საშუალებების მუშათა თავისუფალი ასოციაციებისთვის გადაცემას, მიწისა და სასოფლო სამეურნეო იარაღების თავისუფალი თემებისთვის, გლეხთა ასოციაციებისათვის და მიწათმოქმედი მუშებისათვის გადაცემას. ამ დებულებების შესაბამისად, რუსული ხალხოსნობაც 60-იანი წლებიდან გამუდმებით მოუწოდებდა ხალხს, მუშებს საზოგადოებრივი

ცხოვრების იმ ფორმების განხორციელებას (სოციალიზმის), რომელთა პირობებშიც თავისუფალი არტელები (ასოციაციები) და თვითმმართველი თემები უზრუნველყოფდნენ მიწით, წარმოების საშუალებებით, სახელოსნოებით, ფაბრიკებით თანასწორობისა და სოლიდარობის საწყისებზე სარგებლობას.

ხოლო გერმანელებმა, ენგელსის თაოსნობით, ეს მოთხოვნები და მისწრაფებები უმეცართა სულელურ გამოგონებად მიიჩნიეს. მათი წარმოდგენით, ახალმა მეცნიერებამ, რომელიც გერმანელების დიდ აღმოჩენებზეა დაფუძნებული, განსაკუთრებით მარქსის და თავად ენგელსის, დაამტკიცა, რომ კაცობრიობის საკეთილდღეოდ, გლეხობამ უნდა დაკარგოს მიწა, თემი უნდა განადგურდეს, მთელი ჩვენი ასმილიონიანი გლეხობა უნდა გადაიქცეს მიწისა და სახლკარის გარეშე დარჩენილ მედღეურედ, რომელიც თავისუფალ ასოციაციებში კი არ იქნება დასაქმებული, არამედ ფაბრიკა - ქარხნებში, სახელოსნოებში, კაპიტალისტების და მიწათმფლობელების მამულებში და ეს გაპარტახებული გლეხობა დადგენილი ხელფასის პირობებში 8 საათზე ნაკლებს არ უნდა მუშაობდეს, ხოლო კაპიტალისტზე სავალდებულო შრომის მოსპობაზე, თანასწორი უფლებების მქონე მუშათა ასოციაციების შექმნაზე მხოლოდ უტოპისტებს, უვიცებს, ანარქისტებს და „მუშათა კლასის დანარჩენ მტრებს“ შეუძლიათ ლაპარაკი.

ამ საყოველთაო სახალხო გაპარტახების მოძღვრებას კაცობრიობის სასიკეთოდ განსაკუთრებული გულმოდგინებით და სისტემატურად ეწეოდნენ ენგელსი, კაუცკი, პლეხანოვი და სხვა ახალი მარქსისტული მეცნიერების ორთოდოქსები (რუსულად - მართლმორწმუნენი). ეს მოძღვრება მთელი ოცი წლის განმავლობაში გრძელდებოდა. ისეთმა ფრაზებმა, როგორებიც არის - მეცნიერება და სამეცნიერო - გონება დაუბინდეს უბრალო ადამიანებს. გერმანული მილიტარიზმის ბნელი და მომაკვდინებელი რეაქცია, რომელიც 1870 წლიდან მძვინვარებდა, კომუნის შემდგომი რეაქცია საფრანგეთში, კატკოვ - პობედონოსცევურ - პლევეევური სისტემის სიბნელე რუსეთში ჰარმონიაში მოვიდა ხალხის გაპარტახების და დამორჩილების იდეასთან. ენგელსი და მისი მიმდევრები წინასწარმეტყველებად იქცნენ.

მაგრამ, უტოპისტებს და ხალხოსნებს, განსაკუთრებით კი ჩვენ, ანარქისტებს, რომლებიც შეურაცხყოფილნი აღმოვჩნდით ჩვენი სანუკვარი და წმინდა იდეების უგულვებელყოფის გამო, არაერთხელ დაგვისვამს კითხვა: „რას ეფუძნება გლეხთა გაპარტახების არაადამიანური მოთხოვნა, კაპიტალიზმის უკუნითი უკუნისამდე გაგრძელებას და მუშათა დამორჩილებას?“

- ჩვენს დიად აღმოჩენებს, - გამარჯვებულის პოზიციიდან გვპასუხობდა ენგელსი.

- ჩვენი მასწავლებლების უდიდეს აღმოჩენებს, - წარმოსთქვამდნენ ერთხმად ბაბელი, კაუცკი, პლეხანოვი და სხვები... და დაიწყეს ამ დიდი აღმოჩენების ჩამოთვლა.

- პირველი აღმოჩენა. დამატებითი ღირებულება მარქსის მიერ იქნა აღმოჩენილი, - განაცხადა ენგელსმა „ანტი დიურინგში“ 1878 წელს..

- კი მაგრამ, - ვპასუხობდით ენგელსს მოკრძალებით, - დამატებითი ღირებულება სისმონდის მიერ იქნა დადგენილი 1819 წელს, ანუ თქვენს დაბადებამდე ერთი წლით ადრე. შემდგომ 1824 წელს უილიამ ტომსონმა შეიმუშავა დამატებითი ღირებულების თეორია ცნობილ ნაშრომში, რომელიც სამჯერ იქნა გამოცემული.

მეორე აღმოჩენა. ღირებულების შრომითი თეორია. - კვლავ გეშლებათ, პასუხობენ ანარქისტები და დამოუკიდებელი მეცნიერები. ღირებულების შრომითი თეორია ადამ სმიტმა დაადგინა და შეიმუშავა მარქსის „კაპიტალის“ გამოსვლამდე ასი წლით ადრე. ამასთანავე ადამ სმიტის დიადი ნაშრომის გვერდებსაც მივუთითებთ (1, 38, 39, 40, 43, 53).

მესამე აღმოჩენა. ისტორიის ეკონომიკური ახსნა. მაგრამ, ამ ეკონომიკურ ახსნაზე, ეკონომიკური ფაქტორების როლზე ისტორიაში წერდნენ ბლანკი, ოგიუსტენ ტერი, დევიდ იუმი, გიზო და სხვები ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მარქსი და ენგელსი წერაკითხვას სწავლობდნენ. თანამედროვეებიდან, რომლებიც მათ არ აღიარებდნენ, ამავე საკითხებზე წერდნენ ჰოდკინსი, ბოკლი, თოროლ როჯერსი და სხვები. როჯერსმა წიგნიც კი გამოსცა სათაურით „ისტორიის ეკონომიკური ახსნა.“ - რაც შეეხება ევოლუციურ შეხედულებას ისტორიაზე და კაცობრიობის ბუნებრივ განვითარებას, ვიკოდან

დაწყებული, ენციკლოპედისტები (ვოლტერი), ჰერდერი, ფურიე, ოგიუს კონტი და ბოკლით, სპენსერით, მორგანით დამთავრებული... მოკლედ, მთელი ინდუქციური მეცნიერების მიერ არის ის დამუშავებული.

მეოთხე აღმოჩენა. კლასთა ბრძოლა ისტორიაში (იხ. ენგელსის, კაუცკის, პლეხანოვის და სხ.). - ამაზეც პასუხობდნენ, რომ კლასთა ბრძოლაზე საუბრობდნენ და წერდნენ, განსაკუთრებით საფრანგეთსა და ინგლისში, დიადი რევოლუციის შემდეგ სიიესით, თომას პეინით და გოდვინით დაწყებული, დამთავრებული გიზოთი, ლუი ბლანით, ბიურეთი, რივერით, ბლანკით...

მეხუთე აღმოჩენა. კაპიტალის კონცენტრაცია, რომლის მიხედვითაც კაპიტალისტთა რიცხვი 1845 წლიდან მცირდება, რადგან „ერთი კაპიტალისტი კლავს მრავალს“ (მარქსი). - ჯერ ერთი, პასუხობდნენ მათ, კაპიტალის კონცენტრაციაზე მარქსამდე ოცი წლით ადრე წერდნენ ფრანგები ბიურე, ვიქტორ კონსიდერანი და სხვები. მეორეც, სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ კაპიტალისტთა და ექსპლუატატორთა რიცხვი კი არ კლებულობს, არამედ სწრაფად იზრდება. მათი რიცხვი 1845 წლიდან გასამმაგდა...

მეექვსე აღმოჩენა. მუშათა საპარლამენტო წარმომადგენლობა, რომელიც გერმანელების მიერ ჩაფიქრებული იქნა 1867 წელს და 1873 წელს მიღებული როგორც მეცნიერული სოციალიზმის პარტიის ტაქტიკა.

მათ კვლავ გაახსენეს, რომ ფრანგი პრუდონისტები ტოლონი, ლიმუზენი, ფრიბურგი, მოლენჟი და სხვები ჯერ კიდევ 1662 წელს გამოდიოდნენ მუშათა კანდიდატურებით; რომ თავად პრუდონმა 1864 წლის დასაწყისში დაწერა ტრაქტატი „მუშათა კლასის პოლიტიკურ შესაძლებლობაზე, რომ ჯონ სტიუარტ მილი ტრედ-იუნიონისტისა და ინტერნაციონალისტის ოჯერისადმი მიწერილ წერილში 1870 წელს დაბეჯითებით მოითხოვდა მუშათა კანდიდატურებს, რათა ეიძულებინა ბურჟუაზია (ვიგები) დათმობებზე წასულიყვნენ და რეფორმები გაეტარებინათ მუშათა კლასის სასარგებლოდ.

მეშვიდე აღმოჩენა. მარქსის მიერ ინტერნაციონალის დაფუძნება. - მართალია, პასუხობდნენ მათ და არ განიხილავდნენ, დადე-

ბით თუ უარყოფით როლს თამაშობდა მარქსი ინტერნაციონალში, უნდა ვაღიაროთ, რომ მისი მონაწილეობა და გავლენა უზარმაზარი იყო, თუმცა ინტერნაციონალი დაფუძნდა 1862 წელს ზემოთხსენებული პრუდონისტების, ფრანგი მუშების ტოლენის და სხვების მიერ, ინგლისელი ტრედიუნიონისტების ოჯერისა და იუნგის თაოსნობით, მარქსი კი მათ შეუერთდა ორი წლის შემდეგ, 1864 წლის შემოდგომაზე იუნგის მოსაწვევი წერილის მიღების შემდეგ.

<u>მერვე აღმოჩენა.</u> მუშათა მოძრაობის ფორმულა: „მუშათა კლასის განთავისუფლება თავად მუშების საქმეს უნდა წარმოადგენდეს.“ ამასთან დაკავშირებითაც მოკრძალებით გაკეთდა შენიშვნა, რომ პროლეტარიატის რადიკალურ ბურჟუაზიასთან ურთიერთობის საბოლოო გაწყვეტა მოხდა 1848 წლის ივლისის სისხლიან დღეებში, პარიზის ბარიკადებზე, რასაც ყველა ისტორიკოსი ადასტურებს, ასევე მუშები (დეჟაკი) და მოვლენათა თანამედროვენი (ჰიუგო, ვიდალი, პრუდონი, გერცენი „იმ ნაპირიდან,“ ტურგენევი „ჩვენებმა გაგზავნეს“). ეს ფორმულა ინტერნაციონალის სტატუტებში იმ ფრანგი მუშების მოთხოვნით შეიტანეს, რომლებიც დაჟინებით ითხოვდნენ, რომ ინტერნაციონალის წევრებად მხოლოდ ფიზიკურად მომუშავე ადამიანები გაეხადათ.

<u>მეცხრე აღმოჩენა.</u> დიალექტიკური მეთოდი. - ამაზე პასუხობდნენ, რომ ჯერ კიდევ არისტოტელემ თავის „ლოგიკაში“ აღწერა ეს მეთოდი და მის გამომგონებლად ელეელი ძენონი გამოაცხადა, სოფისტთა სკოლის დამფუძნებელი...

<u>მეათე აღმოჩენა.</u> „ინდუქციურმა მეთოდმა, ბეკონისა და ლოკის მიერ ფილოსოფიაში გადატანილმა, შექმნა მეტაფიზიკური აზროვნება“ (ენგელსი) - და ამაზე პასუხობენ, რომ მეტაფიზიკა და მეტაფიზიკური აზროვნება დიდი ხნის წინ აღწერა იმავე არისტოტელემ, რომ უახლოეს დროში მეტაფიზიკის „იმპერატორი“, მარქსის სიტყვებით, იყო ჰეგელი, ხოლო ბეკონმა და ლოკმა შექმნეს ინდუქციური მეცნიერება და ბუნებისმეტყველების მატერიალიზმი და რომ არანაირი სხვა მატერიალიზმი - არც ეკონომიკური, არც დიალექტიკური, - არ არსებობს, გარდა უწიგნური უვიცებისა და შარლატანების თავებისა.

მეთერთმეტე აღმოჩენა. მარქსმა და ენგელსმა პირველებმა გაუსვეს ხაზი მუშათა კანონმდებლობის მნიშვნელობას. - ისევ არასწორია, პასუხობდნენ მათ. ჯერ კიდევ 1802 წელს, მარქსისა და ენგელსის დაბადებამდე გაცილებით ადრე, რობერტ ოუენის ინიციატივით, მამა -პილის სამინისტრომ მიიღო ფაბრიკის პირველი კანონები, შემდეგ კი 1809, 1812, 1819 წლებში კანონს კანონი მოჰყვებოდა; 1836 წელს სადლერის კომისიამ შესთავაზა ათსაათიანი სამუშაო დღის შემოღება მაშინ, როდესაც მარქსი და ენგელსი ჯერ კიდევ მოზარდები იყვნენ და გერმანიაში სწავლობდნენ, სადაც მუშები დღეში 14, 16 და 18 საათს მუშაობდნენ.

მეთორმეტე აღმოჩენა. მინიმალური ხელფასის კანონი, რომელიც ენგელსის თქმით მან 1844 წელს აღმოაჩინა. შესაძლოა თქვენ აღმოაჩინეთ, პასუხობდნენ, მაგრამ მეცნიერება მას იცნობდა როგორც ტიურგო - რიკარდოს კანონს, რომელზეც წერდნენ , ბიურე, მილი, ლავალეი, ლაოსალი და ყველა ეკონომისტები.

ასე მოკრძალებით პასუხობდნენ მეცნიერები და სოციალისტები, განსაკუთრებით კი ხალხოსნები და ანარქისტები. მაგრამ მეცნიერებს უგულვებელყოფდნენ და ბურჟუებს უწოდებდნენ, ხოლო სოციალისტებს და ანარქისტებს უმეცრებასა და უტოპიზმში სდებდნენ ბრალს. კრიტიკოსთა ხმები იკარგებოდა განმადიდებელთა შეძახილებში. ასე იზრდებოდა და მყარდებოდა მარქსისა და ენგელსის პოპულარობა... დიადი, თუმცა მცირე მოცულობის ნაწარმოების (პლეხანოვის სიტყვებით) ავტორთა სახელი მთელს მსოფლიოსთვის გახდა ცნობილი; ყველა ენებზე ადიდებდნენ მათ მეცნიერებას, რომლის მიხედვითაც კაცობრიობის საკეთილდღეოდ გლეხები უნდა გაღატაკებულიყვნენ, დაეკარგათ მიწა, ხოლო მუშებს კაპიტალისტებისთვის უნდა ემუშავათ. ხალხთა მეგობრებისთვის მტკივნეული და შეურაცხმყოფელი იყო სიღატაკისა და გაპარტახების ყვავების ჩხავილი, მაგრამ ეს ყვავები ფარშევანგის ფრთებით იყვნენ მორთულნი და სამყარო ტკბებოდა მათი ხილვით, აქებდა და ადიდებდა მათ სწავლულობას.

ერთი რამ კი გაკვირვებას იწვევდა: განსაკუთრებით ადიდებდნენ კომუნისტურ მანიფესტს, მასში კი კომუნიზმზე არც ერთი სიტყა არ არის თქმული. კომუნისტების დევიზებიც კი - „თანასწო-

რობა ადამიანებს შორის," თითოეულს მოთხოვნილების მიხედვით და თითოეულისგან უნარის მიხედვით" - მანიფესტში არ გვხვდება. პირიქით, მასში საუბარია სახელმწიფოთა მონოპოლიაზე, შრომით არმიებზე, ყანების დამუშავებაზე საერთო გეგმის მიხედვით და უფროსობის ბრძანებით, რომელსაც, *„გონებაჩლუნგი"* - ენგელსის გამოთქმით - და გაპარტახებული გლეხობა სრულ განკარგულებაში გადაეცემოდა.

- „ეს კომუნიზმის კი არა, ყაზარმული დისციპლინის და მონობის ქადაგებაა! - ვუთხარი საკუთარ თავს. 1848 წელს სოციალისტები და კომუნისტები არ საუბრობდნენ ასეთი ენით. დავიწყე მანიფესტის ორმოციანი წლების პერიოდის ჩანაწერებთან შედარება და ჩემდა გასაოცად აღმოვაჩინე, რომ იგი გადაწერილი იყო ვიქტორ კონსიდერანის მანიფესტიდან, ანუ *არა კომუნისტის და არა რევოლუციონერის ნაწარმოებიდან.* ხოლო ცნობილი ცხრა პუნქტი სახელმწიფოს მონოპოლიის შესახებ, „ სპეციალურად მიწათმოქმედებისთვის შრომითი არმიის შესახებ," ასევე ფრანგისგან აღმოჩნდა ნასესხები, ასევე არა კომუნისტის და არარევოლუციონერის, ვიდალისგან, რომელმაც პუნქტობრივად შეიმუშავა კანონებისა და დეკრეტების სახით *სახელმწიფოებრივი* და საზოგადოებრივი რეფორმების სისტემა, აღმოვაჩინე ასევე რეფორმატორი ფურიერისტის წიგნი, სისმონდის მიმდევრის, ევგენი ბიურეს „მუშათა კლასების სიღატაკეზე ინგლისსა და საფრანგეთში," რომელიც 1840 წელს დაჯილდოებულ იქნა საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის მიერ. ოცდასამი წლის ენგელსმა იგი გერმანულად გადააკეთა და თავის ნაშრომად გაასაღა.

ჩემთვის აშკარა გახდა, რომ გლეხობის მტრების სამეცნიერო საგანძური ცარიელი იყო... მარქსსა და ენგელსს არავითარი კანონები არ აღმოუჩენიათ, ხოლო გლეხობის გაპარტახება და მისი მიწის გარეშე დატოვება - კაცთმოძულეობის ველური გამოგონება იყო. არსად, არც ბუნებაში, არც ისტორიაში, არც ეკონომიკაში, არც სოციალიზმში მსგავსი სისაძაგლეები არ შემხვედრია. მეცნიერების სახელით გლეხთა გაპარტახების სიკეთის მტკიცება არის მეცნიერების, სოციალიზმის და კაცობრიობის შეურაცხყოფა.

კომუნისტურ მანიფესტში არც ერთი ორიგინალური აზრი არ მოიპოვება და ყველა მისი განზოგადება 30 – 40 - ანი წლების ფრანგი სოციალისტების და მათთან კავშირში მყოფი გერმანელი ემიგრანტების მოარულ აზრებს, ზოგად დებულებებს წარმოადგენს; აზრები კლასთა ბრძოლის, პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის ინტერესების შესახებ უკვე გამოთქმული იყო პეკერის, ვიდალის, პრუდონის, ბიურეს, ბლანკის, ვილეგარდელის, რივნერის, მათ შემდეგ კი გერმანელების - გრიუნის, ვეიტლინგის, შუსტერის და სხვების მიერ. მარქსსა და ენგელსს ხელთ ჰქონდათ ამ ზოგადად გავრცელებული აზრების შესანიშნავი კრებული, ცნობილი ფურიერისტის ვიქტორ კონსიდერანის ნაშრომის სახით, რომელიც მან ასევე მანიფესტის ფორმით გამოსცა „სოციალიზმის პრინციპები. XIX საუკუნის დემოკრატიის მანიფესტი“ (კ. კაუცკი).

- მაგრამ კონსიდერანი დავიწყებული იქნა, - საზეიმოდ აცხადებს კაუცკი. მარტო კონსიდერანი იყო დავიწყებული მასების მიერ 50 – 60 წლებში? თქმულა კი 1862 დან 1876 წლამდე ინტერნაციონალის სექციებსა და პრესაში ერთი სიტყვა მაინც მარქსისა და ენგელსის მანიფესტზე? არა მხოლოდ კონსიდერანი, არამედ 40 - ანი წლების მთელი სოციალისტური ლიტერატურა, კომუნისტური მანიფესტის ჩათვლით, უცნობი იყო სამოციანი წლების თაობის მუშებისათვის. რეაქცია, რომელიც მოყვა 1848 წლის თებერვლის რევოლუციას, უწყალოდ დევნიდა სოციალისტებს და ანადგურებდა მათ ლიტერატურას. თავად ენგელსი 1888 წლის ინგლისური გამოცემის წინასიტყვაობაში აღიარებს, რომ მათი მანიფესტიც ასევე განწირული იყო დავიწყებისთვის. მხოლოდ 1872 წელს, ანუ 24 წლის შემდეგ, ინტერნაციონალის დაშლის შემდეგ, გაჩნდა მეორე გერმანული გამოცემა.

აქტიურად დაიწყეს მანიფესტზე საუბარი ოთხმოციან წლებში, როდესაც საცოდავი ფურცლების უმეცარმა შემავსებლებმა ახალი გამოცხადება აღმოაჩინეს მანიფესტში, ერთგვარი ბიბლია, ხოლო მარქსი და ენგელსი გაუტოლეს ნიუტონს და კეპლერს. მაშინ განათლებულ ხალხს მოუწია ამ ბაქიებისთვის იმისი შეხსენება, რომ მხოლოდ გაუნათლებლობის გამო შეეძლოთ მათ გამოცხადე-

ბათ მიეჩნიათ ორმოციანი წლების სოციალისტური ლიტერატურის ზოგადი იდეები.

ეს იდეები ნიჭიერად იყო წარმოდგენილი ვ. კონსიდერანის 1843 წლის მანიფესტში, რომლიდანაც მარქსმა და ენგელსმა ლამის სიტყვასიტყვით გადმოწერეს თავიანთი მანიფესტის პირველი თეორიული ნაწილი. სათაურიც კი „ბურჟუაზია და პროლეტარიატი“ კონსიდერანისგან არის ნასესხები. მათი მანიფესტის ეს თავი შედგება სულ 350 სტრიქონისგან, ხოლო ტექსტების შედარებისას გამოვლინდა 36 დამთხვევა, ანუ, ყოველ ნასესხებ აზრზე მოდის სულ რაღაც 9 -10 სტრიქონი. ორივე მანიფესტი იწყება თითქმის იდენტური ისტორიული განზოგადებით, ხოლო დასასრულს ორივეგან თეორიულ მსჯელობაში გამოტანილია დასკვნა იმის შესახებ, რომ ასოციაციები წარმოადგენენ თავისუფალი და სოლიდარული საზოგადოების ძირითად ფორმას. კაუცკი აღიარებს, რომ „ყველა ეს იდეა წარმოდგენილია კონსიდერანის მანიფესტში.“ - რისი დამტკიცებაც გვსურდა! იდეები ემთხვევა, დასაწყისი იდენტურია, დასკვნები ასოციაციის შესახებ ასევე იდენტურია. რა არის ეს, თუ არა პლაგიატი?

- არა! - წარმოსთქვამს მარქსიზმის მართლმორწმუნე წარმომადგენელი. აი, მარქსსა და ენგელს რომ განეცხადებინათ, თითქოს XIX საუკუნის სოციალიზმი კომუნისტური მანიფესტით იწყება, ამ შემთხვევაში იქნებოდნენ პლაგიატორები (გ. 698 - კაუცკი).

ამ შემთხვევაში, მეცნიერული სოციალ-დემოკრატიის დამცველო ბატონო, ისინი პლაგიატორები კი არა, სულელები იქნებოდნენ, რაშიც მარქსსა და ენგელს არავინ სდებს ბრალს. ვერ იტყოდნენ, რომ სოციალიზმი 1848 წლის მანიფესტით იწყება, როდსაც პირველი კომუნისტები, ბაბეფი და მისი მეგობრები ჯერ კიდევ დიადი რევოლუციის დროს დაიღუპნენ; როდესაც სენ სიმონი გარდაიცვალა 1825 წელს და თავის მიმდევართა მრავალრიცხოვანი სკოლა დატოვა, მათ შორის გამოირჩეოდნენ ისეთი გენიალური ნიჭის ადამიანები, როგორებიც ოგიუსტენი, ტიერი, ადოლფ ბლანკი, ოგიუსტ კონტი; ასევე იყო მდიდარი ლიტერატურული მიმდინარეობა. ფურიე 1837 წელს გარდაიცვალა. ფურიერიზმით 1848 წლამდე სავსე იყო ფრანგული ჟურნალები, წიგნები, მანიფესტები. ლუი ბლანს

და მის „შრომის ორგანიზაციას“ ისეთი გავლენა გააჩნდათ, რომ მეორე რესპუბლიკამ სოციალური რეფორმების სპეციალური კომისიის ორგანიზება მოახდინა, მისი და მუშა - მექანიკოსის ალბერის თავმჯდომარეობით. ამავდროულად ისინი მთავრობის წევრებიც გახლდნენ; გერმანიაშიც იყვნენ სოცალისტები 1848 წლამდე; შუსტერის, ვეიტლინგის და გრიუნის გარდა ბევრი სხაც წერდა სოციალიზმზე; სხვათა შორის, ლორენც შტეინმა, ჯერ კიდევ 1842 წელს გამოსცა შესანიშნავი წიგნი ფრანგული სოციალიზმის შესახებ.

კვლავ ვიმეორებ, სისულელე იქნებოდა იმისი მტკიცება, რომ სოციალიზმი 1848 წლიდან წარმოიშვა ერთიციდა მანიფესტიდან, რომელიც რამოდენიმე ასეულ ეგზემპლარად იქნა გამოცემული გერმანულ ენაზე და თანაც არა გერმანიაში, არამედ ლონდონში. ისინი საკმაოდ ჭკვიანები იყვნენ ამგვარი ვულგარულობის მტკიცებისათვის, მარქსი და ენგელსი, განსაკუთრებით კი ეს უკანასკნელი. სხვაგვარად მოიქცნენ, ენგელსმა, მარქსის თანხმობით, დაარწმუნა 80-იანი წლების გერმანელი მუშები, რომ 1848 წლამდე სოციალიზნს არ გააჩნდა სამეცნიერო საფუძველი, იყო მხოლოდ სწრაფვა, მოჩვენება და კეთილი სურვილი, ხოლო სამეცნიერო ჭეშმარიტება და სოციალიზმის საფუძვლები, ის თორმეტი ვითომდა აღმოჩენაა, რომლებზეც ზემოთ ვისაუბრეთ, მათ მიერ იქნა განხორციელებული 1845 წელს და გასაჯაროებული 1848 წელს. ყოველ შემთხვევაში, ამას აცხადებდა და წერდა ენგელსი.

1883 წლის მესამე გერმანული და 1883 წლის ინგლისური გამოცემის წინასიტყვაობაში, ენგელსი ამტკიცებდა, რომ მანიფესტის დედააზრი, რომლის მიხედვითაც: 1) ყოველ მოცემულ ისტორიულ ეპოქაში ეკონომიკური წარმოება და მისი შინაარსით განპირობებული საზოგადოებრივი წყობა წარმოადგენენ პოლიტიკური და გონებრივი ისტორიის საფუძველს; 2) მთელი ისტორია იყო კლასთა ბრძოლის ისტორია; 3) ამ ბრძოლამ ისეთ საფეხურს მიაღწია, რომელზეც პროლეტარიატს არ შეუძლია საკუთარი თავის განთავისუფლება ისე, რომ არ გაანთავისუფლოს მთელი საზოგადოება... ეს მთავარი აზრი ეკუთვნის ერთადერთ პიროვნებას, მარქსს.“ (გერმანული გამოცემის წინასიტყვაობა). ინგლისურ გამოცემაში დამატებულია: „ჩემი რწმენით, ამგვარი განზოგადება ისტორიაში მოახ-

დენს იმას, რაც დარვინის თეორიამ მოახდინა ბიოლოგიაში. მის გამომუშავებას ყოველი ჩვენთაგანი (მარქსი და ენგელსი) თანდათან ახორციელებდა ჯერ კიდევ 1845 წლამდე... მაგრამ როდესაც მიმდინარე წლის გაზაფხულზე ჩვენ კვლავ შევხვდით ერთმანეთს ბრიუსელში, იგი უკვე სავსებით გამომუშავებული იყო მარქსის მიერ და წარმომიდგინა თითქმის იმავე სიტყვებით, რომლებითაც გადმოგცემთ."

გესმით, მკითხველო? - ისტორიის ევოლუციური ახსნა, სწავლება ქალაქების, კომუნების საზოგადოებრივი კლასების მნიშვნელობის შესახებ ევროპის ისტორიაში და ბოლოს სოციალური ემანსიპაციის ფორმები და მათი ხასიათი... ყოველივე ეს მხოლოდ ერთი აზრია, რომელიც ეკუთვნის არა XIX საუკუნის დასავლეთ ევროპის დიად გონებრივ და პოლიტიკურ მოძრაობას, არამედ მარქსსა და ენგელსს.

ენგელსის სიტყვებიდან გამომდინარე, იგი ისაკუთრებს ევოლუციურ შეხედულებას არა მხოლოდ სოციალიზმზე, არამედ ისტორიაზე და კლასთა ბრძოლის პოლიტიკურ სწავლებაზე, ანუ გასული საუკუნის მთელს პოლიტიკურ - სოციალურ და ისტორიულ მეცნიერებას.

ლიტერატურაში პლაგიატობა ეწოდება, როდესაც ვინმე გადაიწერს სხვის აზრს, გვერდს ან მთელ წიგნს, გადააკეთებს და გამოსცემს საკუთარი სახელით ისე, რომ არ ახსენებს ნამდვილ ავტორს. აი, სწორედ ასეთი გადაწერა, გადაკეთება, ავტორის დასახელების გარეშე, მოახდინეს მარქსმა და ენგელსმა ვიქტორ კონსიდერანის მანიფესტიდან 1848 წელს, ხოლო ენგელსმა დამოუკიდებლად 1844 წელს ბიურეს წიგნიდან „მუშათა კლასების სიღატაკეზე ინგლისსა და საფრანგეთში."

შესაძლოა ენგელსის პრეტენზია აღმოჩენებზე დაცინვას იმსახურებს, მაგრამ სხვისი ნაწარმოებების მითვისება საზოგადოებრივი გაკიცხვის საგანი უნდა გახდეს და ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს არც პარტიულობას, არც მიმართულებას.

ამით შესაძლოა დაგვესრულებინა ჩვენი პასუხი კაუცკის, მაგრამ სტატიაში იგი ვრცლად საუბრობს იმის შესახებ, რომ ვ. კონსიდერანი რევოლუციონერი კი არა, მშვიდობიანი რეფორმების მომ-

ხრე გახლდათო. ვინ არ იცის, რომ ფურიერისტები ზოგადად მშვიდობიანი რეფორმების მომხრენი იყვნენ. კონსიდერანი ხსენებულ მანიფესტში თავის პარტიას „მშვიდობიან დემოკრატიას“ უწოდებს (Democratie pacifique). ასეთიც იყო, თუმცა ამ ფაქტიდან სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ იმჟამინდელი ისტორიული და სოციალურ-ფილოსოფიური იდეები უცხო იყო ბრწყინვალედ განათლებული, ნიჭიერი მწერალი ფურიერისტისთვის. ვინც გადაავლებს თვალს ორივე მანიფესტს, აღმოაჩენს, რომ მშვიდობიანმა რეფორმატორმა გაუსწრო მოჩვენებით რევოლუციონერებს და წმინდა ფრანგული სიცხადით საუბრობდა კლასებზე, კლასობრივ ბრძოლაზე, კაპიტალის კონცენტრაციაზე, მსხვილ წარმოებათა მიერ წვრილ წარმოებათა შთანთქვაზე, მსხვილი კაპიტალის პოლიტიკურ ბატონობაზე, ჭარბწარმოებაზე, ეკონომიკურ კრიზისებზე, საყოველთაო კონკურენციაზე და საერთაშორისო ბაზრებზე, მუშათა კლასის გაღატაკების ზრდაზე და კაპიტალიზმით აღშფოთებაზე, ყოველივე იმაზე, რაც ენგელსმა მარქსს და საკუთარ თავს მიაწერა, ხოლო ბებელი, კაუცკი, პლეხანოვი და სხვები ასაღებდნენ როგორც მათი პარტიის მოძღვრებას მშვიდობიანი და ლეგალური პარლამენტარიზმის შესახებ.

მართალია, კონსიდერანი მშვიდობიანი რეფორმის მომხრე იყო, ისევე როგორც სოციალიზმის ყველა დიადი დამაარსებელი. არც სენ სიმონი, არც ფურიე, არც რობერტ ოუენი და არც მათი მიმდევრები არ მოუწოდებდნენ ხალხს ბარიკადებისკენ. მიუხედავად ამისა, დღევანდელი სოციალიზმი, თანამედროვე მუშათა მოძრაობის ყველა ფორმა და სახეობა, ასოციაციების, კოოპერაციების, ტრედიუნიონიზმის და საყოველთაო გაფიცვის სახით მათ მიერ იყო გამომუშავებული და ფორმულირებული. ხომ არ გადაწყვეტენ კაუცკი, ბებელი და სხვები ხსენებულ მოაზროვნეთა და მათ მიმდევართა ამ დამსახურების უარყოფას ტანჯული კაცობრიობის წინაშე? ხოლო თუ უარყოფენ, საეჭვოა, რომ ეს იყოს რევოლუციონერების თვისება.

დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატები მარქსიზმის დოქტრინით, სოციალურ ცხოვრებაში საწარმოო ურთიერთობათა გადამწყვეტი როლით, ასევე მშვიდობიანი რეფორმატორები გახლა-

ნან. საწარმოო ურთიერთობები წარმოებისა და გაცვლის ევოლუციის შედეგია და არა რევოლუციონერების ინიციატივისა და საქმიანობის. საწარმოო ურთიერთობათა დოქტრინა ადგილს არ უტოვებს რევოლუციონერებს, რის საუკეთესო დასაბუთებას თავად სოციალ - დემოკრატია წარმოადგენს. თითქმის ნახევარსაუკუნოვანი არსებობის განმავლობაში მას არცერთი რევოლუციური აქტი არ განუხორციელებია. პირიქით, სისტემატურად გმობდა ესპანეთში, იტალიაში და საფრანგეთში. სოციალ-დემოკრატია, ენგელსის კარნახით, საყოველთაო გაფიცვასაც კი უარყოფდა. მთელი ძალისხმევა მიმართული იყო საპარლამენტო არჩევნების გზით ხელისუფლების მშვიდობიანი დაუფლებისკენ და სხვა არაფრით იყო დაკავებული უკანასკნელი ოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში.

რატომღა განიზრახა ლეგალური პარლამენტარიზმის, საწარმოო ურთიერთობათა ევოლუციის და არა რევოლუციის დოქტრინის მიმდევარმა კაუცკიმ კონსიდერანის გამტყუნება მშვიდობიანი რეფორმების ქადაგებისთვის. ასე ხომ არ სურს კაუცკის მანიფესტის დისკრედიტაცია?

მაგრამ ის ვერ მოახერხებს განათლებული ადამიანების თვალში ცნობილი ფურიერისტის კომპრომეტირებას, ისევე როგორც ვერ მოახერხა ლიტერატურული პლაგიატის წარუშლელი ლაქების მოცილება თავისი მასწავლებლების ხსოვნიდან.

რუსულიდან თარგმნა გია სიამაშვილმა

კარლ კაუცკი. კომუნისტური მანიფესტი როგორც პლაგიატი [1]

იმისი ცდა, რომ მარქსი და ენგელსი პლაგიატორებათ იქნან გამოყვანილი, ეს ერთი ხანია სასიყვარულო სპორტათ იქცა. იმ დროს, როცა გაფაციცებით ეძებენ წყაროებს, საიდანაც მარქსს და ენგელსს ქურდულათ უნდა გადაეღოთ თავიანთი ქმნილებანი, ერთი დარტყმით ორ ბუზსა კლავენ. ერთი მხრით, ისინი რაც შეიძლება ამცირებენ ახალ მეცნიერულ სოციალიზმის მამამთავართ, მეორე მხრით კი განცვიფრებაში მოყავთ ქვეყანა, როგორც ძლიერ ნაკითხ პირებს, რომელთაც ისეთი დაობებული წიგნებიც კი არ დარჩენიათ წაუკითხავათ, რომელნიც ეს რამდენიმე ათი წელია, რაც კაცობრიობის ყურადღებას არ იქცევს.

რასაკვირველია, ეს პლაგიატის მაძებრები, ანტონ მენგერი და გუსტავ კონიდან დაწყებული, აქამომდე მუდამ იმას ამტკიცებენ, რომ თვითეული მათგან გამონახული პლაგიატი, ან მათი უმეცრების მაჩვენებელია იმ დარგში, რომელსაც ეს პლაგიატი ეკუთვნის, ან კიდევ იმის, რომ ისინი წინდაუხედაობას იჩენენ. მაგრამ ეს მეთოდი იმდენათ მარჯვეა, რომ მის გამოყენებას ისევ და ისევ ცდიან ხოლმე.

ახლა გამოსულან ჩვენი ანარქისტები და ავრცელებენ ერთ წიგნაკს სათაურით: „კომუნისტურ მანიფესტის წარმოშობა“. მასში მოთავსებულია ჩერქეზიშვილის შრომა იმავე სათაურით, ლაბრიოლას აზრი ამ შრომაზე და ბოლოს როგორც დესერტი, პიერ რამუსის წერილი ამ სათაურით: „ფრიდრიხ ენგელსი, როგორც პლაგიატორი“. ამ წერილს არ შევეხებით ჩვენ, რადგან ის ჩერქეზიშვილის შრომის მხოლოდ უვარგისი ვარიაციაა.

წიგნაკს წინ უძღვის წინასიტყვაობა იმავე ბ-ნ რამუსისა, რომელშიც ის ბ-ნ ჩერქეზიშვილს უწოდებს ახალ ანარქიზმის „მოწინა-

[1] ლიტერატურული ნაქურდალი. ეს ფრიად საყურადღებო წერილი კაუცკისა პასუხს აძლევს იმ მრავალ სიყალბეზედაც, რომელიც იმავ ბ-ნმა ჩერქეზიშვილმა ჩვენშიაც გაავრცელა „ნობათის“ საშუალებით. რედ.

ვე ამხანაგს“. მერე გმობს ხმის ტაციობას და პარლამენტარიზმს და ბოლოს გადადის მარქსზე და ენგელსზე:

„ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ უმთავრესი მათი (მარქსის და ენგელსის) თხზულებანი შედგებოდა პლაგიატებისაგან; ეს მით უფრო მიუტევებელია, რომ ისინი, იმის მაგიერ, რომ სიტყვა-სიტყვით გადაეწერათ ორიგინალი, როგორც ჩვევიათ ყველა პლაგიატორებს, იდეებს, აზრებს და თეორიებს იპარავდენ, და მიუხედავად ამისა ან ლანძღავდენ და ან კიდევ ქარაფშუტებათ გამოყავდათ ის მოაზრენი, რომელთა იდეებით სარგებლობდენ. რა უნდა ვიფიქროთ იმ პირებზე, რომელნიც... როგორც სრულიად ახალ სოციალისტურ მსოფლიო შეხედულების აღმომჩენნი, ხშირათ მეცირკესავით იქებდენ თავს, რომელნიც დამოუკიდებელ რევოლუციონერებს ცილისწამებით და აზრების დამახინჯებით ჩირქსა სცხებდენ და იმავე დროს თითონ ერთ „უტოპისტ“-სოციალისტის აზრთა სიმდიდრის მძარცველებათ გამოდიან?“

ამ სოციალისტის ქვეშ რამუსი გულისხმობს ფურიერისტს ვიქტორ კონსიდერანს, რომელიც ცხოვრობდა 1808-დან 1893 წლამდე. კონსიდერანმა 1843 წ. შეთხზა ერთი წიგნი - „სოციალიზმის პრინციპები“, რომელიც ატარებდა მეორე სათაურსაც: ”მეცხრამეტე საუკუნის დემოკრატიული მანიფესტი”. ეს წიგნი 1847 წ. გამოიცა მეორეჯერ.

ეს წიგნი „ჩქარა დავიწყებას მიეცა”. როგორ მოხდა ეს, რამუსმა არ იცის ნათლათ. მაგრამ ”როგორც უნდა მომხდარიყო იგი, - ამბობს რამუსი - ცხადია, რომ მარქსმა და ენგელსმა ისარგებლეს ამ დავიწყებით, ამ ისტორიულ უცოდინარობით, რომელიც სუფევდა მაშინ გერმანიაში სოციალისტურ საფრანგეთის თითქმის მთელ ორიგინალურ ლიტერატურის შესახებ”.

არასოდეს მარქსის და ენგელსის წინასწარმეტყველური მჭვრეტელობა ისე მაღლა არ დაფასებულა, როგორც ამას რამუსი ჩადის. 1847 წ.[2], როცა კონსიდერანის წიგნაკი მეორეჯერ გამოიცა, მათ იცოდენ მაშინვე, რომ ის ჩქარა დავიწყებული იქნებოდა და სწრაფლ

[2] მარქსის და ენგელსის კომუნისტური მანიფესტიც 1847 წ. დაიწერა.

ა. ჩ.

დაეშურენ „ეს დავიწყება და ისტორიული უცოდინარობა" გამოეყენებიათ და ახლათ გამოქვეყნებული, „დავიწყებული" თხზულება გაეძარცვათ.

მაგრამ თვით კონსიდერანი ცხოვრობდა 1893 წლამდე, ე. ი. იმ დრომდე, როცა კომუნისტური მანიფესტი მთელ ქვეყანაზე სახელგანთქმული იყო. ინტერნაციონალში ერიენ კონსიდერანის მოწაფენი, როგორც მაგალითათ - კარლ ბიურკლი, დოიჩე, რომელნიც ნემეცურ და ფრანგულ სოციალისტურ ლიტერატურას ერთგვარ კარგათ იცნობდენ, რომელთაც, როგორც კომუნისტურ მანიფესტიც და კონსიდერანის თხზულებებიც ზედმიწევნით ქონდათ შესწავლილი და თავიანთ მასწავლებელს მაღლა აყენებდენ, მაგრამ ყველა ესენი და თვით კონსიდერანიც, ეტყობა გამსჭვალული ყოფილან იმავე "დავიწყებით" და "ისტორიულ უცოდინარობით", რომ მათ წარმოდგენაც კი არ ქონიათ მარქსის და ენგელსის პლაგიატის შესახებ. ჯერ უნდა გარდაცვლილიყვენ კონსიდერანი და მისი მეგობრები, რომ შემდეგ ბ-ნ ჩერქეზოვს შეძლებოდა იმის აღმოჩენა, რომ მარქსმა და ენგელსმა კონსიდერანი გაყვლიფეს და - როგორც ბ. რამუსი დასძენს - გალანძღეს კიდეც. რასაკვირველია, ის თავსაც არ იწუხებს ამ ლანძღვა-გინების მაგალითი მოიყვანოს. მან მოიგონა ეს, რომ მით უფრო ნათლათ დაენახვებინა ყველასათვის ორივე პლაგიატორების საზიზღრობა.

მაგრამ გადავიდეთ თვით პლაგიატის დამამტკიცებელ საბუთზე. ბ. ჩერქეზოვი ამოსწერს მთელ წყება ციტატებს კომუნისტურ მანიფესტიდან, რომელთა ერთი მეორესთან შედარებამ პლაგიატი უნდა დაამტკიცოს, ის იწყებს შემდეგი ადგილებით:

კომუნისტური მანიფესტი: "საზოგადოების ადრინდელ ეპოქებში ჩვენ ვამჩნევთ თითქმის ყველგან საზოგადოების სხვადასხვა წოდებათა, საზოგადოებრივ მდგომარეობათა სხვადასხვა საფეხურებს".

ვიკტორ კონსიდერანი: "საზოგადოებანი ძველ დროში აღიარებდენ ძალადობას პრინციპათ და კანონათ, ომს პოლიტიკათ, დაპყრობას მიზნათ და მონობას ეკონომიურ სისტემათ; გაყვლეფა ადამიანისა ადამიანისაგან, გამოსახული არა-ადამიანურ და ბარბარო-

სულ ფორმაში... მონობა და კასტიური სული შიგნით: აი რანაირი იყო საზოგადოებრივ წყობილების ხასიათი ძველ დროში".

კომუნისტური მანიფესტი: საშვალო საუკუნოებში ვხედავთ ფეოდალურ ბატონებს, ვასალებს, უსტაბაშებს, შეგირდებს, ყმებს და თითქმის ყოველ ამ კლასებში ისევ განსაკუთრებულ საფეხურებს".

ვიკტორ კონსიდერანი: "ფეოდალური სისტემა დაპყრობის შედეგი იყო... მისი უმთავრესი საქმე იყო ომი და განსაკუთრებით ტრადიციული სამუდამო პრივილეგია დაპყრობისა. როგორც ეკონომიური სისტემა, სუფევდა ბატონ-ყმობა, რომელიც ადამიანის ადამიანისაგან გაყვლეფის ცოტა ნაკლებ სასტიკი და მხეცური ხარისხისა იყო".

და ასე ქვევით. რაც უნდა განაგრძო ეს ლიტანია, მას აქვს ერთი და იგივე ხასიათი: ფუჭათ ეკითხებით თქვენ თავს, სად იმალება აქ პლაგიატი, სად არის ის "იდეები", რომელნიც მარქსს და ენგელსს კონსიდერანისაგან უნდა მოეპარათ? განა მონობის არსებობა ძველ დროში და ბატონყმობის არსებობა საშვალო საუკუნოებში ისეთი რამ "იდეებია", რომელნიც კონსიდერანმა მოიგონა, რომ მარქსს და ენგელსს მისგან უნდა გადაეღოთ? ყველა ის, რასაც ჩერქეზოვი საერთოდ თვლის ორივე მანიფესტში, ისეთი ფაქტებია რომელნიც ამ მანიფესტების წარმოშობის დროს მთელმა ქვეყანამ იცოდა, რომელთა ნახვა იმ დროინდელ ლიტერატურის მრავალ სხვადასხვა ნაწერებში ძლიერ ადვილია. კონსიდერანის მანიფესტში, თუ მანდამაინც ამაზე იქნება ბაასი, ორიგინალურია ის განსაკუთრებული კილო და ფორმა, რომლებშიც ის გამოხატავს და ერთი მეორეს უკავშირებს ამ ფაქტებს. სწორეთ ამაში განსხვავდება ის მარქსის და ენგელსისაგან და უახლოვდება უფრო თავის დროის ლიტერატურას. ძალმომრეობის თეორია, რომელიც საფუძველში უდევს კონსიდერანის მსჯელობას, და რომელიც ანტიკურ და ფეოდალურ საზოგადოების საძირკველს ხედავს ომში, დაპყრობაში და არა წარმოების განსაკუთრებულ სახეში, მარქსისტული არ არის სრულიად. როგორ უგუნურათ ესმის ჩერქეზოვს კომუნისტურ მანიფესტის მსჯელობა, ამაზე მოვიყვანთ კიდევ ერთ მაგალითს. იგი წერს:

"კლასობრივი ბრძოლა, ეკონომიური კრიზისები! აი, მარქსის და ენგელსის უდიდესი აღმოჩენანი - როგორც სოციალ-დემოკრა-

ტები გვარწმუნებენ. ჩვენ გვინდა გამოვიძიოთ, რას ამბობს მათი ყორანი ამ საგნის შესახებ: მარქსის და ენგელსის კომუნისტური პარტიის მანიფესტი: "ეს რამდენიმე ათი წელია, რაც ინდუსტრიის და ვაჭრობის ისტორია არის ისტორია თანამედროვე მწარმოებელ ძალთა აღშფოთებისა წინააღმდეგ თანამედროვე წარმოებითი ურთიერთობისა, წინააღმდეგ საკუთრებრივ ურთიერთობისა, რაიც ბურჟუაზიის და მისი ბატონობის სასიცოცხლო პირობებს შეადგენს".

ვიკტორ კონსიდერანი: "ეგ იდეა (რევოლიუციური კომუნიზმი) წარმოსდგა პროლეტარიატის ჩქარი განვითარების, პაუპერიზმის და ახალ ფეოდალების გავლენით ნორჩ საზოგადოებაში, რომელიც ჯერ კიდევ სრულიად გაჟღენთილია რევოლუციონური სულით და ვრცელდება (იდეა) აგერ რამდენიმე წელია მუშათა მასაში (სახელდობრ დიდ საინდუსტრიო ცენტრებში საფრანგეთისა, ინგლისისა, რამდენათმე ბელგიისა, შვეიცარიისა და გერმანიისა, იგი (იდეა) აცდუნებს და აფიცხებს მასას, ის არის ძლიერ მარტივი და მით დიდი უპირატესობის მქონე); შორს საკუთრება! არ იყოს არავითარი გაყვლეფა ადამიანის ადამიანისაგან! შორს მემკვიდრეობითი უფლება! მიწა ყველასათვის! (ეგ ფორმულები ძლიერ მარტივი და გასაგები არის დამშეულ და ტიტველ მასისათვის და სხვ.").

აი ციტატებიც! ბატონ ჩერქეზოვს სრულიად არ მოყავს კონსიდერანის სიტყვები. მის ციტატაში გამოტოვებულია დიდ ფრჩხილებში მოთავსებული სიტყვები, ისე რომ მკითხველს ებადება აზრი, თითქო კონსიდერანი იცავდეს რევოლუციონურ კომუნიზმის შეხედულებებს, მაშინ, როდესაც მას მხოლოდ იმიტომ მოყავს ისინი, რომ შეებრძოლოს მათ და დაამარცხოს.

ჩერქეზოვს პირდაპირ ყალბათ გამოყავს კონსიდერანი, როცა ამ უკანასკნელის და მარქს-ენგელსის იდეების ერთგვარობაზე ლაპარაკობს. მაგრამ მაინც ბევრს ვერც ეს სიყალბე შველის მას. ჯერ თუგინდ კიდეც დავიჯეროთ, რომ ყალბათ მოყვანილი ციტატა იმასვე ამბობს, რასაც კომუნისტური მანიფესტის ციტატა - სად არის იდეების ძარცვა-გლეჯა? განა 1847 წელს მთელმა ქვეყანამ არ იცოდა, რომ პროლეტარიატის აღშფოთება ინდუსტრიის ცენტრებში დიდ პროგრესს შვრებოდა და კომუნისტურ იდეების გავრცელებას ხელს უწყობდა? იყო განა ეს ისეთი იდეა, რომელიც კონსიდერანი-

საგან უნდა მოეპარათ და მერე გამოეთქვათ? უეჭველია, აქ შესაძლებელი იქნებოდა არა პლაგიატზე ლაპარაკი, არამედ ის, რომ ორივე მანიფესტი ერთს და იმავ ყველასათვის ცნობილ ფაქტებს აღიარებს, რომ **ორივე ციტატები ერთსა და იმავე აზრს გამოხატავს.**

მაგრამ ისინი სრულიად არ ამბობენ ერთ და იმავეს. და სწორეთ ეს გახლავთ ისტორიის იუმორი. იმის დასაჯერებლათ, რომ ორივე ერთგვარ აზრს გამოთქვამენ „მწარმოებელ ძალთა აღშფოთებაში“, რომელზედაც კომუნისტური მანიფესტი ლაპარაკობს, **ინდუსტრიის მუშების აღშფოთება** უნდა გვესმოდეს. მაგრამ კომუნისტურ მანიფესტის იმ ალაგში, სიდანაც არის ციტატა ამოღებული, სრულიად არაა ამაზე ლაპარაკი. ის ადგილი ამბობს:

„თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოება, რომელმაც წარმოშობა ასეთი მძლავრი საშუალებანი წარმოებისა და გაცვლა-გამოცვლისა, ემზგავსება იმ გრძნეულს, რომელსაც არ ძალუძს მისგანვე ქვესკნელიდან გამოწვეულ ძალებზე ბატონობა“. და ამას ქვევით დაყვება ზევით მოყვანილი ციტატა:

„ეს რამდენიმე ათი წელია, რაც ინდუსტრიის და ვაჭრობის ისტორია არის ისტორია თანამედროვე მწარმოებელ ძალთა აღშფოთებისა წინააღმდეგ თანამედროვე წარმოებით ურთიერთობისა, რომელიც ბურჟუაზიის და მის ბატონობას სასიცოცხლო პირობებს შეადგენს“.

ამ წინადადების შემდეგ კომუნისტური მანიფესტი განაგრძობს:

„საკმარისია, დავასახელოთ ვაჭრობის კრიზისები, რომელნიც პერიოდული განმეორებით მთელ ბურჟუაზიულ საზოგადოების არსებობას უფრო და უფრო ემუქრება. ვაჭრობის კრიზისების დროს რეგულიარულათ იღუპება დიდი ნაწილი არამც თუ დამზადებულ საქონლისა, არამედ უკვე გაკეთებულ მწარმოებელ ძალათა. კრიზისების დროს თავს იჩენს ერთი საზოგადოებრივი ეპიდემია, რომელიც ყველა ადრინდელ ეპოქებში შეუსაბამოთ მოეჩვენებოდათ - ეპიდემია დამზადებულ საქონლის გადაჭარბებულ სიმრავლისა“.

როგორც ხედავთ, „მწარმოებელ ძალთა აღშფოთებას წარმოებით ურთიერთობის წინააღმდეგ“, რომელზედაც მარქსი და ენგელსი მოგვითხრობენ, და პროლეტარების აღშფოთებას ბურჟუაზიულ სა-

კუთრების წინააღმდეგ, რომელზედაც კონსიდერანი მსჯელობს, ისევე არა აქვთ რა საერთო ერთმანეთთან, როგორც ბატონ ჩერქეზოვს გონიერებასთან და ზრდილობასთან.

ბატონი ჩერქეზოვი ერთ უშესანიშნავეს მეცნიერულ მნათობათ არის ანარქისტებისაგან აღიარებული. როგორც ხედავთ ანარქიზმი გონებრივათ სრულიად გამოფიტული ყოფილა.

მიუხედავათ ამისა, არიან პარტიული ამხანაგები, ძლიერ ცნობილი პარტიული ამხანაგები, რომელნიც ჩერქეზოვის ბრალდებას ძლიერ სერიოზულათ თვლიან - და მეც სწორეთ მხოლოდ ეს გარემოება მაიძულებს ამ აბსურდულ ბრალდების გარჩევაში შევიდე.

ეს გახლავს იტალიელი ამხანაგი არტურიო ლაბრიოლა (საკვირველია, რომ მას ბროშურაში დაჟინებით ე. ლაბრიოლას ეძახიან), რომელმაც ჩერქეზოვის მსჯელობა გაარჩია და სწორათ აღიარა. აქვე აღვნიშნავთ, არტურო ლაბრიოლა არ უნდა გვეგონოს ანტონიო ლაბრიოლა, რომელიც რამდენიმე წლის წინათ გარდაიცვალა. ის იყო შესანიშნავი მოაზრე მარქსისტულ შკოლისა და ნამდვილი მცოდნე კომუნისტურ მანიფესტისა, რომლის შესახებ მან კიდეც ერთი ღირშესანიშნავი წიგნი დაწერა. მეორე ლაბრიოლა, „იტალიის სოციალ-დემოკრატიის მარცხენა და ურადიკალეს ფრთის წინამძღოლი“, როგორც მას აღნიშნავს თავის წინასიტყვაობაში რამუსი; თუმცა ჩერქეზოვზე უფრო ღრმათ აზროვნებს და არ ბაძავს მას ციტატების ერთი მეორესთან უთავბოლო შედარებაში, იკვლევს მაინც კომუნისტურ მანიფესტის მთავარ იდეებს, მაგრამ ბოლოს მაინც იმავე ჩერქეზოვის დასკვნაზე მიდის.

„კომუნისტურ მანიფესტის ყველა ამ პრინციპებს და თეორეტიულ ძირითად აზრებს - და ზოგიერთ სხვასაც, თუმცა ნაკლებ მნიშვნელოვანს - შეიცავს დემოკრატიული მანიფესტი... ამას მეტი **მარქსსაც არა უთქვამს რა, არც ერთი სიტყვა მეტი“!**

როგორც ამგვარი თეორეტიული მთავარი აზრები, მას მოყავს კონსიდერანის მანიფესტიდან მთელი წყება ადგილებისა, რომელნიც მიმართული არის ინდუსტრიის განვითარებისგან წარმომდგარ „თანამედროვე ფეოდალიზმის“ წინააღმდეგ; აგრეთვე არსებულ სოციალურ წყობილების ნაკლულევანებათ წინააღმდეგ, რომელნივ წარმოდგენ თავისუფალ კონკურენციის წყალობით და თავდებიან,

მასის გაღატაკებით ერთის მხრით, და კაპიტალის კონცენტრაციით, მეორე მხრით.

ეჭვი არ არის, ყველა ეს იდეები არის მოთავსებული კონსიდერანის მანიფესტში. მაგრამ ეს სრულიად არ ამტკიცებს იმას, რომ მარქსმა და ენგელსმა აქედან გადმოწერეს ისინი. თითონ ლაბრიოლა შენიშნავს.

როგორც ჩანს, თეორია სიღატაკის გამრავლების და კაპიტალის კონცენტრაციის შესახებ მარქსზე ადრე იყო სოციალისტურ კრიტიკისაგან ხმარებაში შემოღებული, და გერმანიის დიდმა კომუნისტმა მხოლოდ გადაიღო ის, როგორც თავისთავათ საგულისხმო რამ. შეიძლება გულდამშვიდებით ითქვას: დემოკრატიული მანიფესტი შეიცავს ყველა მთავარ აზრებს მერმინდელ მარქსის და ენგელსის მანიფესტისას... შეუძლებელია იმ ფაქტის უარყოფა, რომ ვიკტორ კონსიდერანის დემოკრატიული მანიფესტი ნამდვილი მამაა კომუნისტურ მანიფესტისა“.

განა წარმოსადგენია ამაზე უფრო ახირებულათ, საბუთების მოყვანა? ლაბრიოლა ამბობს, როგორც ჩანს, სიღატაკის გაძლიერების და კაპიტალის კონცენტრაციის თეორია მარქსზე ადრე იყო საზოგადოთ სოციალისტურ კრიტიკისაგან ხმარებაშიო. მაშასადამე, მან განსაზღვრულ არ იცის რა ამ კრიტიკის შესახებ და არც ის, თუ რა დამოკიდებულება აქვს უკანასკნელთან დემოკრატიულ მანიფესტს. მიუხედავათ ამისა, ის დიდის გამბედაობით სდებს თავის მსჯავრს. მას რომ ცოტათი თავი შეეწუხებინა და იმ დროის სოციალისტებს დაკვირვებოდა, მაშინ დაინახავდა, რომ ხსენებული ორი იდეა ძლიერ გავრცელებული იყო მაშინ. იმ დროის ყველა სოციალისტები იცნობდენ მაგ იდეებს.

ლუიბლანი, მაგალითათ, სწერდა თავის „შრომის ორგანიზაციაში“, რომელიც უკვე 1839 წ, გამოვიდა: „ვინ იქნება ისეთი ბრმა, რომ ვერ ხედავდეს, განუსაზღვრელ კონკურენციის ბატონობის ქვეშ განუწყვეტელი დაწევა ხელფასისა აუცილებლათ საერთო და არა განკერძოებული ფაქტია?“ (ნემეც. გამოც. გვ.29)

„უკიდურესი სიღატაკე, ოჯახის მიწასთან გასწორება არის კონკურენციის შედეგი“ (გვ. 63).

„კონკურენციის ბატონობის ქვეს შრომა გადასცემს მომავალს ცხოვრება მოჭარბებულ, დასახიჩრებულ, დაჩირქებულ, ნახევრათ გახრწნილ მოდგმას. ვინღა გასწირავს მაშინ, მდიდრებო, თქვენთვის თავის სიცოცხლეს ომში? თქვენ აკი გინდათ ჯარის-კაცნი!“ (გვ. 67).

ლუიბლანი იკვლევს შემდეგ კონკურენციის მომაკვდინებელ ზედგავლენას ბურჟუაზიაზე და ათავებს თავის გამოკვლევას ამ სიტყვებით:

„ყველაფერი გასაყიდია, კონკურენცია შეიძრა აზროვნების სფეროშიც. ამ გვარათ, ფაბრიკები სპობს ხელოსნობას, დიდი სავაჭ-რო სახლები ამოწუწნის პატარა მრეწველთ, ხელოსანი, რომელიც კარგავს დამოუკიდებლობას, სახნისის ხმარება ნიჩბის მეურნეობა-ზე იმარჯვებს, ღარიბის მიწა უვარდება ხელში უსირცხო მევახშეს; ბანკების გაკოტრება მრავლდება, ინდუსტრია კრედიტის უწესრი-გოთ გაფართოების წყალობით იქცევა თამაშათ, რომელშიც მოგების გარანტია არავის, თვით შულერსაც არა აქვს: მოკლეთ, ის საშინელი უწესრიგობა, რომელიც ნამდვილათ ისეა გაჩენილი, რომ ყველას შური, ეჭვი, სიძულვილი გაუღვიძოს და თანდათან ყველა კეთილ-შობილი გრძნობები ჩაუვლის გულში და ყველა წყაროები რწმენისა, თავდადებისა, პოეზიისა გაუქარვოს - ყველა ეს არის საზიზღარი და მხოლოდ ჭეშმარიტი სურათი, რომელიც კონკურენციის შედეგია“ (გვ. 78).

როგორც ხედავთ, უბრალო შემთხვევას უნდა მიეწეროს, რომ ჩერქეზოვი და ლაბრიოლა კონსიდერანის მანიფესტში ხედავენ სა-იდუმლო წყაროს კომუნისტურ მანიფესტის იდეებისას. მათ შეეძ-ლოთ ისინი იმავე სიადვილით ენახათ ლუიბლანის წიგნში, ან იმ დროის რომელიმე სხვა სოციალისტის ნაწერებში.

(გრიგალი 1906 N 7 გვ.2)

მარქსს და ენგელსს რომ ერწმუნებინათ ქვეყანა - კომუნისტუ-რი მანიფესტით იწყება მეცხრამეტე საუკუნის სოციალიზმიო, მაშინ ისინი მართლაც პლაგიატორები იქნებოდენ. მაგრამ ვისაც იმ დრო-ინდელ სოციალისტებს შორის კონსიდერანის გარდა არავინ წაუკ-ითხავს, მხოლოდ მას შეეძლო გამოეცხადებია, მარქსმა და ენგელსმა სწორეთ ამ უკანასკნელის წიგნაკი გადაწერესო. და ეს იმიტომ, რომ

კომუნისტურ მანიფესტს იმდენივე აქვს საერთო კონსიდერანის მანიფესტთან, რაც ყველა მაშინდელ სოციალისტურ ნაწერებთან.

რაში მდგომარეობს მაშ კომუნისტურ მანიფესტის თავისებურება, თუ ეგრეთ წოდებული „გაღატაკების და კონცენტრაციის თეორია“ იმ დროის სხვა სოციალისტებისაგან უკვე მიღებული იყო, თუ ყველა ისინი თავიანთ სოციალიზმს კაპიტალისტურ წარმოების ეკონომიურ ლტოლვილებებზე (ტენდენციებზე) აფუძნებდენ?

ეგ თავისებურება მდგომარეობს ჯერ ერთი იმაში, რომ ხსენებული თეორიები მანიფესტში უფრო ღრმათ არიან გატარებული, ვინემ რომელიმე იმ დროინდელ სოციალისტის ნაწერში; შემდეგ, და მასთან ყველაზე უწინ, იმაში, რომ მანიფესტი აღიარებს კლასობრივ ბრძოლის როლს, როგორც საზოგადოებრივ განვითარების მამოძრავებელ ძალას და ამ შემეცნებას შეუფარდებს იგი პროლეტარიატის სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობას. ამაზე სოციალისტთა უმრავლესობას არავითარი წარმოდგენა არ ქონდა და სწორეთ ის მიმართულება, რომელსაც კონსიდერანი ეკუთვნოდა, კლასობრივ ბრძოლას მეტათ არასასიამოვნო უგზო-კვლობათ თვლიდა. მართალია, კონსიდერანისთვის და მისი თანამედროვეთათვის კლასობრივი ბრძოლა, როგორც ფაქტი ცნობილი იყო, მაგრამ ისინი ვერ ხედავდენ, როგორ აუცილებლათ გამომდინარეობდა იგი ეკონომიურ განვითარებიდან და ახალ საზოგადოებას ნიადაგს უმზადებდა. მათ არ ქონდათ არავითარი ნდობა პროლეტარიატისადმი და შეუძლებლათ თვლიდენ, რომ ის ოდესმე თითონ გაინთავისუფლებდა თავს. ისინი მიმართავდენ გულშემატკივართ, რომელნიც საერთო ძალით უნდა ცდილიყვენ პროლეტარიატის განთავისუფლებას. თუ ისინი პროლეტარიატის გაღატაკების ზრდაზე უთითებდენ, ეს ხდებოდა იმიტომ, რომ ბურჟუაზიულ ელემენტებში თანაგრძნობა გაეღვიძებინათ. სიღატაკის ზრდაში ყველაზე წინ მათ აინტერესებდათ ქონება-მოკლებულ კლასების გათახსირების ზრდა. პირველათ მარქსმა და ენგელსმა დაინახეს გაღატაკების ზრდაში ბრძოლის ზრდა გაღატაკების წინააღმდეგ; მუშათა კლასის აღშფოთების ზრდაში ისინი ხედავდენ იმ საშუალებას, რომელმაც მუშათა კლასს უნდა უშველოს თავის-თავის განთავისუფლებაში. ამით გაღატაკების თეორიამ სულ სხვა სახე მიიღო. რამდენათ აუც-

ილებელია კაპიტალის მისწრაფება, პროლეტარიატი ძირს დასწიოს, იმდენათ აუცილებელია პროლეტარიატის მისწრაფება მაღლა აიწიოს. ამ ერთი მეორის მოწინააღმდეგე ლტოლვილებამ შესაძლებელია, სხვადასხვა ფორმები მიიღოს, სხვადასხვა შედეგები წარმოშობოს - აქ მთლათ ჩაძირვა წუმპეში, იქ ბრწყინვალე ამაღლება სხვა დაბალ კლასების წრეებს ზევით. მაგრამ ჩვენ ყოველგან ვხედავთ, საერთოთ რომ ავიღოთ, კლასობრივ წინააღმდეგობათა მუდმივ ზრდას, კლასობრივ ბრძოლის მუდმივ გამწვავებას, რაც უნდა დაბოლოვდეს პროლეტარიატის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლით კაპიტალის წინააღმდეგ. ამ პროცესს მხოლოდ განკერძოებულათ და ერთდროულათ ეღობება წინ წინააღმდეგი ლტოლვილება.

ეს არის ახალი, მარქსისტული ფორმა საყოველთაო სოციალისტურ თეორიისა პროლეტარიატის გაღატაკების შესახებ. იგი უკვე გამოხატულია კომუნისტურ მანიფესტში, თუმცა იქ პროლეტარიატის სიღატაკის წინააღმდეგ აღშფოთების ზრდასთან ერთათ მისი ჩაყურყუმალება სიღატაკეში უფრო გადაჭარბებულათაა გახაზული, ვინემ მარქსის და ენგელსის მერმენდელ ნაწერებში. ეს გადაჭარბება შეეფერებოდა იმ დროინდელ საყოველთაო სოციალისტურ შეხედულებას და პროლეტარიატის საყოველთაო მდგომარეობას.

აქედან ცხადია, თუ რა ყოჩაღი ყოფილან მარქსიზმის ის თანამედროვე კრიტიკოსები, რომელნიც აბსოლიუტურ გაღატაკების თეორიაში ხედავენ ერთ დამახასიათებელ ნიშანთაგანს, რომელიც აცალკევებს მას (მარქსიზმს) დანარჩენ სოციალისტურ შკოლებისაგან.

როგორც კაპიტალისტური ლტოლვილება გაღატაკებისაკენ, ისე ლტოლვილება კაპიტალისა კონცენტრაციისკენ, წვრილ წარმოების გაქრობისკენ, მარქსის და ენგელსის ნაწარმოებში სხვა როლს თამაშობს, ვინემ კონსიდერანის და მეორმოცე წლების სხვა სოციალისტების უმრავლესობის ნაწერებში. უკანასკნელების თვალში ამ ორივე ლტოლვილების წამოყენებას არსებითად სააგიტაციო მნიშვნელობა აქვს. მან უნდა იმოქმედოს მდიდრების გრძნობაზე. მან მდიდრებს უნდა დაანახოს, როგორ საშიშარია მათი მდგომარეობა დღევანდელ საზოგადოებაში: აქ მსხვილი კაპიტალი ემუქრება დაღუპვას, იქ სასოწარკვეთილ მშრომელ ხალხის აღშფოთება. როგორც

პირველს, ისე მეორეს შეუძლიათ მათ თავი დაახწიონ მხოლოდ სოციალიზმის მხარეზე გადასვლით.

სულ სხვას ვხედავთ მარქსის და ენგელსის ნაწერებში. მათთვის პროლეტარული რევოლიუცია როდია ისეთი მოვლენა, რომელიც უნდა იძლეოდეს საბაბს შიშისათვის; ის არის მათი საუკეთესო იმედი. მქონებელ კლასებისაგან ისინი არაფერს არ გამოელიან, არც მათი შიშისაგან და არც მათი თანაგრძნობისაგან. მაგრამ კაპიტალის კონცენტრაცია მათთვის საყურადღებოა, რადგან მასში ისინი ხედავენ ისეთ ეკონომიურ ელემენტების წარმოშობას, რომელთაგან პროლეტარიატი ახალ საზოგადოებას შექმნის. ამ ელემენტების წმინდა გონებით შექმნა, ან მათი გამოგონება შეუძლებელია, ისინი უნდა იქნენ აღმოჩენილ-მონახული ფაქტებში.

ამგვარათ, კაპიტალის კონცენტრაცია და მასის „გაღატაკება“ მარქსის და ენგელსისათვის ისეთი მოვლენებია, რომლიდანაც მათ გამოყავთ სოციალურ განვითარების აუცილებელი მიზნები და საშვალებანი. თავიანთ დანიშნულებათ ისინი იმას სახავენ, რომ პროლეტარიატს შეაგნებინონ ის ამოცანები, რომლებსაც უყენებს მათ წინ ეკონომიური განვითარება. კომუნისტურ მანიფესტის დროის სოციალისტთა უმრავლესობა წინააღმდეგ ამისა იყო იმ აზრის, რომ სიღატაკის გამრავლება და წვრილ წარმოების უკან-უკან სვლა გაუღვიძებდათ მქონებელ კლასთ შიშს და თანაგრძნობას და მით სიმპატიას სოციალიზმისადმი, ასე რომ მათ შეეძლოთ წინასწარ თავიდან აცილება პროლეტარულ აღშფოთებისა, რომელსაც მხოლოდ ნგრევა შეეძლო.

ეს არის დიდი და ძირითადი განსხვავება, რომელიც სუფევს კომუნისტურ მანიფესტის შეხედულებათა და იმ დროინდელ სხვა სოციალისტურ თეორიებს შორის. ჩვენ არას ვამბობთ იმ პროლეტარულ თანასწორობის კომუნიზმზე, რომელიც კიდევ სხვა სახით განსხვავდებოდა კომუნისტურ მანიფესტისაგან, რადგან ის აქ მოსატანი არაა.

მარქსსა და ენგელსს მართლა რომ პლაგიატი ჩაედინათ, მაშინ კონსიდერანის „ძირითადი იდეები“ კომუნისტურ მანიფესტში უნდა ყოფილიყო მოთავსებული. ნამდვილათ კი უკანასკნელი შეიცავს ისეთ თვალსაზრისებს, რომელნიც მას განასხვავებენ მეორმოცე

წლების სოციალიზმისაგან. აი რას აცხადებს კონსიდერანი მე-10 პარაგრაფში „სოციალურ რევოლიუციაზე“, მას შემდეგ, რაც მან გაღატაკების თეორიაზე და კაპიტალის კონცენტრაციაზე ისაუბრა:

„თავს ნუ ვიტყუებთ: ამგვარი მდგომარეობა ხიფათით სავსეა, თუ იგი გაგრძელდა და განვითარდა. საფრანგეთის ერი ვერ მოითმენს ისეთ შევიწროებას, რომელსაც იტანენ ირლანდიის და ინგლისის სოფელ-ქალაქების მუშათა მცხოვრებნი... სანამ მუშათა კლასი ინგლისში და ირლანდიაში წინააღმდეგობის და სიძულვილის იმ წერტილამდე მიაღწევს (როგორც ჩარტისტები), ჩვენში ათი რევოლიუცია მოხდება.

„რაღა დარჩება ცივილიზაციისაგან, მთავრობებისაგან, მაღალ კლასებისაგან, თუ ინდუსტრიული ფეოდალობა მთელს ევროპაზე გავრცელდა და თუ სოციალურ ბრძოლის დიადმა ლოზუნგმა: „შრომით სიცოცხლე ან ბრძოლით სიკვდილი“! ერთ დღეს თანამედროვე მონების უთვალავი ლეგიონები აღელვებაში მოიყვანა?

„დიახ, თუ მთავრობათა სიბრძნე, ინტელიგენტური და ლიბერალური ბურჟუაზია და მეცნიერება ბოლოს მაინც გონზე არ მოვლენ, მაშინ უეჭველია, მოძრაობა, რომელიც ევროპის საზოგადოებათ შეარყევს, პირდაპირ სოციალურ რევოლიუციით გათავდება და ჩვენ მივექანებით ევროპის მოქალაქობრივ ბრძოლისკენ (ჟაკერიისკენ, ველურ აღელვებისკენ).

„ვინ არიან მაშ ნამდვილი კონსერვატორები, ინტელიგენტური და შორსმჭვრეტელი კონსერვატორები? ისინი, ვინც თხოულობენ, რომ პოლიტიკურმა და სოციალურმა მბრძანებლებმა საქმის ვითარება შეისწავლონ ნაკლულევანებათა მოსასპობათ, აქამდის უყურადღებოთ დატოვებულ უფლებათა და ინტერესთა დასაკმაყოფილებლათ და მით შესაძლებელი გახადონ საზოგადოების მშვიდობიანი და უშიშარი განვითარება? თუ ისინი, ვინც მაძღარი და კმაყოფილი თავიანთ ბედისწერით გაურბიან საზოგადოევრივ აგებულების საშინელელ სიღატაკის გამორკვევას და ფიქრობენ, რომ ამისთვის თავის შეწუხება მეტია? განა ეს უკანასკნელნი იმ პირთ არ ემსგავსებიან, ვინც ყველაფრის გამანადგურებელ აზვირთებულ ნიაღვარს შემოაგდებენ ხოლმე“?

შემდეგ თავში ასეა ნათქვამი:

„ჩვენსკენ, ინტელიგენტნო და შორს-მჭვრეტელნო კონსერვატორნო! ჩვენსკენ განათლებულნო ადამიანნო, მაღალ და საშუალო კლასებისავ, სულგრძელნო ადამიანნო ყველა კლასებისავ! ჩვენი საზოგადოება, რომელიც უკვე წამებულია ორმოცდა ათი წლის რევოლიუციებით და რომელიც ფეოდალობისაკენ მიექანება, იმყოფება კრიზისის ხანაში, რომელიც სერიოზულ შესწავლას და მსწრაფლგამკურნებელ საშვალებას თხოულობს, თუ გვინდა ნიაღვარი თავიდან ავიცილოთ“!

აი საკვირველი სახე კლასობრივ ბრძოლის დასაბუთებისა, კომუნისტურ მანიფესტის ამ „ძირითად იდეისა“!

მახლობელ თავში კონსიდერანი იკვლევს სოციალურ პრობლემის ორ ლოზუნგს: ერთი არის კომუნიზმი. ის იდეა, „რომელიც ეს რამდენიმე წელია გავრცელებულია დიდ საინდუსტრიო ცენტრებში საფრანგეთისა, ინგლისისა, რამდენათმე ბელგიისა, შვეიცარიისა და გერმანიისა. იგი აცდუნებს და აფიცხებს მასას“...

„ეგ ლოზუნგი, თავის არსებით უარყოფითი და რევოლიუციონური, არის მხოლოდ რეაქცია - ვიწრო და ძალმომრეობითი, როგორც ყოველი დიდი რეაქცია - წინააღმდეგ სოციალურ შევიწროების და კაპიტალის მტარვალ ბატონობისა, კომუნიზმი არასოდეს არ გაჩნდებოდა ისეთ პირობებში, სადაც ფული და საკუთრება სტკბებიან კანონიერი უფლებებით და არავითარი განკერძოებული უაღრესობა არ აქვთ“.

მახლობელ პარაგრაფში კონსიდერანი ერთი მეორეს ადარებს თავის დროის და 1789 წლის მდგომარეობას და ამბობს:

„ამ ორ ეპოქაში ჩვენ სრულებით ერთნაირ მოვლენას ვხედავთ: იგივე ზიზღი აუცილებელ კითხვებისადმი, იგივე უვიცობა ხალხის მოძრაობის და მის მნიშვნელობის შესახებ, იგივე დაბრმავებაა. მაგრამ, საბედნიეროთ, დღეს ბურჟუაზია მრავალრიცხოვანია და მასში იღვიძებს სულიერი მხარე. მასში აშკარავდება გაგება მშრომელ კლასების ნივთიერ და მორალურ სიღატაკისა. იგი გრძნობს საჭიროებას მოსპოს ეს სიღატაკე; სოციალური ქველ-მოქმედება იპყრობს მის არსებას; ბურჟუაზიული კლასები იწყებენ იმის შეგნებას, რომ თითონ ისინი პროლეტარებზე არა ნაკლებ არიან დაინტერესებულნი, რომ ინდუსტრიულ წყობილებაში იქნას გაკეთე-

ბული საგუბარი ფინანსიურ არისტოკრატიის ნიაღვრის წინააღმ-დეგ“.

მაგრამ ამის მოგვარება არ შეუძლია კომუნიზმს, „წმინდა უარყოფით, რევოლიუციონურ, ანტისოციალურ და ილიუზიით გამსჭვალულ საშვალებას, რომლის დოქტრინებს ჩვენ სულ მუდამ შევებრძოლებით“, ერთათ ერთი სწორი ლოზუნგი არის ფურიერის-ტულ ამხანაგობათა დაარსება, სადაც კაპიტალი, შრომა და ტალან-ტი ჰარმონიულათ ერთათ იმოქმედებენ.

„კაპიტალი, შრომა და ტალანტი არის სამი ელემენტი წარმო-ებისა, სამი წყარო სიმდიდრისა, სამი ბორბალი ინდუსტრიულ მე-ხანიზმისა, სამი დიადი თავდაპირველი საშვალებანი საზოგადოებ-რივ განვითარებისა. სამივე კლასს, რომელთა წარმომადგენელი ის-ინი არიან, აქვთ საერთო ინტერესები და დღევანდელი მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ მანქანები ვამუშაოთ კაპიტალისტების და ხალხის სასარგებლოთ და არა კაპიტალისტების სასარგებლოთ და ხალხის წინააღმდეგ. დროა აღიარებული იქნას დასასრულ ორგანი-ზაცია კლასების გაერთიანებისა ერში, როგორც ერთეულში, ერების გაერთიანებისა კაცობრიობაში, აგრეთვე როგორც ერთეულში“!

იგივე აზრების მსვლელობა არის გაგრძელებული მანიფესტის მეორე ნაწილში, რომელიც საფრანგეთის სხვადასხვა პოლიტიკურ და სოციალურ პარტიების კრიტიკას შეიცავს. იქ პოლიტიკური ბრძოლა, რევოლიუცია, კომუნიზმი უარყოფილ არიან, როგორც დამღუპველი რამ; სამაგიეროთ მშვიდობიან ამხანაგობათა დაფუძ-ნება დასახელებულია კაცობრიობის განმათავისუფლებელ საშვა-ლებათ, აგრეთვე შრომის და კაპიტალის შერიგება შესაძლებლათ არის აღიარებული.

მართლაც, ვინც ორივე მანიფესტს ერთი მეორეს შეადარებს და ერთი წვეთი ცოდნა აქვს მაშინდელ სოციალისტურ ლიტერატუ-რისა, მაშინვე მივა იმ დასკვნამდე, რომ მათ საერთო მხოლოდ ზე-ზეური აზრთა მსვლელობა აქვთ, რომელიც ყოველ სოციალიზმის საერთო თვისებას შეადგენს, მაგრამ რაც შეეხება იმ მუხლებს, რო-მელნიც მაშინდელ სოციალისტებს შორის საკამათო საგანს შეად-გენდენ და რომელნიც ერთ მიმართულებას მეორისაგან განასხვა-ვებდენ, ისინი (მანიფესტები) ერთი მეორის მოპირდაპირე წინააღმ-

დეგობას წარმოადგენენ. „დემოკრატიული მანიფესტის“ მრავალი ადგილები წააგავენ პირდაპირ პოლემიკას „კომუნისტურ მანიფესტის“ წინააღმდეგ, თუმცა, რა საკვირველია, ეს შეუძლებელია, რადგან ისინი არიან დაწერილი უკანასკნელზე ადრე. და თუ მაინც არ დაგვიშლია ამ ორ ნაწერთა შორის რამე დამოკიდებულების აღმოჩენა, მაშინ დიდი-დიდი ითქმებოდა მხოლოდ ის, რომ კომუნისტური მანიფესტი წარმოადგენს დემოკრატიულ მანიფესტის საწინააღმდეგოთ დაწერილს. მართლაც კომუნისტური მანიფესტი წარმოადგენს წინააღმდეგობას არამც თუ დემოკრატიულ მანიფესტთან შედარებით, არამედ მთელ წინანდელ სოციალურ ლიტერატურასთან შედარებით, რომელსაც იგი არჩევს, რომ შემდეგ მაზე გადაიაროს და სოციალიზმს ახალი საფუძველი ჩაუყაროს; მისი უძლიერესი საფუძველი, რომელმაც მას ბრწყინვალე გამარჯვება არგუნა, არის პროლეტარული კლასობრივი ბრძოლა.

ძლიერ ზეზეურათ და გულგრილათ უნდა ესმოდეს კაცს კომუნისტურ მანიფესტის აზრთა მსვლელობა და არავითარი წარმოდგენა არ უნდა ქონდეს მას მის დროის სოციალისტურ ლიტერატურაზე, რომ დაასკვნას იგი კონსიდერანის „დემოკრატიულ მანიფესტიდან“ არის გადაწერილიო.

(„გრიგალი“, 1906 N 9, გვ.2-3), ა.ჩხენკელი

Varlam Cherkhezishvili against Marxism: Discussion with Karl Kautsky

Abstract

The work of a famous Georgian anarchist, Varlam Cherkhezishvili – “You Have Avowed Finally” (The Answer to Karl Kautsky) was published in the Russian language in 1907, in Tbilisi. This was an answer to the article of Karl Kautsky, which tried to justify that the “Communist Party Manifesto” was not the plagiarism. This article of Karl Kautsky was considered as the plagiarism by Varlam Cherkhezishvili. The Georgian translations of the abovementioned works of Kautsky and Cherkhezishvili are published in the following journal.